

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
პროგრამა არქიტექტურათმცოდნეობა

II კურსის დოქტორანტი ლიანა გიორგობიანი

ხელმძღვანელი თამაზ სანიკიძე

სემინარი

ქართული ტექტრაკონქული ტაძრების თავისებურებათა შესახებ.

ნინოწმინდა

ძველი ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიის სრულად თვალის გადევნება შესაძლებელია ძირითადად ხუროთმოძღვრული ნაგებობებით, რომელთა შორისაც საკულტო არქიტექტურას გამორჩეული ადგილი უჭირავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართული ხელოვნების ისტორია წარმოადგენს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიულ-ეკოლუციური პროცესის უწყვეტ პანორამას, ეპოქების ამსახველ შემოქმედებითი ძიებების, სტილების ცვლის ამსახველ მრავალფეროვან სურათს, რომელიც მაქსიმალურად ავლენს ერის მხატვრული აზროვნების მაღალ პოტენციალს ათასწლეულების მანძილზე. ამასთანავე, ეს არის განსაკუთრებული მხატვრული მოვლენა, სადაც ხელოვნება წარმოადგენს ხალხურ საფუძველზე აღმოცენებულ ბუნებრივი განვითარების პროდუქტს.

ქართული ეროვნული კულტურის სახის საბოლოო ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი რელიგიური მოძღვრების, ქრისტიანობის მიღებას, რომელიც IV საუკუნიდან ქართლის სამეფოს ოფიციალურ რელიგიად იქცა და ძირფესვიანად შეცვალა ქვეყნის ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების გეზი.

326 (337) წელს ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, სხვა ქრისტიანული ქვეყნების მსგავსად, ხუროთმოძღვართა წინაშე დაისახა ამოცანა, შეექმნათ ტაძრის ახალი ტიპი - ქრისტიანული რწმენის სიდიადის და საღვთო ლიტურგიის შესაფერი სივრცე, მლოცველთა თავშეყრის ადგილი, სადაც ერთობლივად იქნებოდა გადაწყვეტილი, ღვთისმსახურების მოთხოვნათა გათვალისწინებით, რთული მხატვრული დასტრუქტურული ამოცანები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს უნდა ყოფილიყო სივრცე, რომელშიც კონსტრუქციული ამოცანების გადაწყვეტა განსაზღვრავდა ნაგებობის როგორც ფუნქციურ, ისე მხატვრულ სახესაც.

საკულტო არქიტექტურაში მხატვრულ-კონსტრუქციული ამოცანების გადაჭრის ძიების გაზაზე ძველი ქრისტიანული ხუროთმოძღვრება იცნობს საეკლესიო ნაგებობათა ორ უმთავრეს ტიპს - გეგმაში წაგრძელებულ უგუმბათოს - ბაზილიკას და ცენტრულს - გუმბათოვანს. ადრეული ხანის ტაძრებში ბაზილიკის ფორმის ფართო გამოყენების მიუხედავად, დროთა განმავლობაში, ქართულ საკულტო არქიტექტურაში წამყვანი ადგილი მაინც გუმბათიანმა თემამ დაიკავა,

რასაც თავისი გენეტიკური საფუძველი გააჩნდა - ქართველ მკვლევართა აზრით (აკად. გ.ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე და სხვ.), ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ხაზგასმული ცენტრულობა, დაკავშირებული ეროვნულ ქართულ საცხოვრებელ სახლთან ე.წ. „დარბაზთან“, რომლის ფორმაც ჯერ კიდევუძველეს ხანაში იქნა შემუშავებული და, რომელიც თავის მხრივ, გარკვეულწილად, ძველადმოსავლურ სამშენებლო ტრადიციებს ენათესავება.

ახალი რელიგიის დამკვიდრებამ მკვეთრად შეცვალა საკულტო სამშენებლო ხელოვნებაში გაბატონებული პრიორიტეტები. თუსატაძრო ნაგებობებისადმი ძველი მიდგომის დროსაქცენტი ფასადებზე კეთდებოდა, რომელთა უმთავრესი დანიშნულებაც მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილების მოხდენა იყო, ახლა წამყვანი თემა უკვე შენობის შინაგანი სივრცე ხდება. ხუროთმოძღვარიძირითად ყურადღებას ასაგები ობიექტის ინტერიერს და მის განსხვავებულ თვისებას - სიმყუდროვის, სიფართისა და თავისუფლების შთაბეჭდილების შექმნას აქცევს, რადგანაც სალოცავი ადამიანის უფალთან და ზეციურ წმინდანებთან ურთიერთობის ადგილი ხდება. მაგრამხუროთმოძღვრების გადასვლა ახალ მიდგომაზე ერთბაშად არ მომხდარა. მას გარკვეული დრო და ძალისხმევადასჭირდა, რათა განთავისუფლებულიყო წინა ხანის არქიტექტურული ფორმების, თემებისა დაშინაარსისაგან.

ამრიგად, საქართველოში ახალი რელიგიის დამკვიდრებამ ერთგვარი ბიძგი მისცა ახალი ძიებების ხანას ქართულ მონუმენტურ ხუროთმოძღვრებაში. სამშენებლო ხელოვნებას დაეკისრა რთული ამოცანა, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, თავის კომპეტენციაში პასუხი გაეცა იმ რელიგიური მოძღვრების მოთხოვნებზე, რომელმაც მოიცვა ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარე.

ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისგანვითარების ისტორიაში ახალი გამოწვევებისპირობებში, სწორედ გუმბათოვანმა არქიტექტურამ შექმნა შესაფერისი ნიადაგი ხუროთმოძღვრის შემოქმედების სრული გახსნისათვის, დამოუკიდებელი კომბინაციებისა და არსებული სამშენებლო ხერხების შემდგომი განვითარებისათვის. უკვე აღარ წარმოადგენდა აუცილებლობას მზამზარეული ფორმების გამოყენება, დადგენილი ნორმების ზედმიწევნით დაცვა. ხუროთმოძღვარს საშუალება მიეცა დამოუკიდებლად შეექმნა ახალი

არქიტექტურული კომპოზიცია, შემოქმედებითად მიდგომოდა სივრცის გადაწყვეტის პრობლემას, ოღონდაც, მას უნდა დაეკმაყოფილებინა ნაგებობათა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და გაეთვალისწინებინა მიზნები, რომელსაც სალოცავი უნდა მომსახურებოდა. ამგვარად, ყველაზე საინტერესო შემოქმედებითი ძიებები და მიღწევები გუმბათოვან ხუროთმოძღვრებას უკავშირდება, რომელიც VI საუკუნიდან წამყვან თემად გვევლინება ქართულ საკულტო არქიტექტურაში.

ჩვენს მიერ სემინარზე წარმოდგენილ თემაში შევხებით ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ევოლუციის ისტორიაში ერთ-ერთ საინტერესო მოვლენას - ტეტრაკონქის თემას, რომელშიც ნათლად აისახა ეპოქის რელიგიურ-ფსიქოლოგიური (თეოლოგიური) ძიებები. გაჩნდა განსხვავებული არქიტექტურული სივრცე, სადაც კონსტრუქციული ამოცანების გადაწყვეტა განსაზღვრავდა ნაგებობის მხატვრულ სახესაც და პასუხობდა ლიტურგიის მოთხოვნებსაც.

თავდაპირველად ძალიან პატარა ზომის, მარტივი ჯვრული ფორმის გუმბათიანმა ნაგებობამ (მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ V საუკუნის წმინდა ნინოს ეკლესია მცხეთის სამთავროში, ან ზეგანის წმინდა მარინეს ეკლესია) დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში, თვალსაჩინო ევოლუცია განიცადა. გაჩნდა გუმბათოვანი ტაძრის ახალი ტიპი ტეტრაკონქი, სადაც ხუროთმოძღვრული კომპოზიციის ძირითად ნაწილს ცენტრალური კვადრატი შეადგენს ოთხივე მხარეს დამატებული სივრცეებით, რაც გეგმაში ჯვრის სიმბოლურ ფორმას ქმნის. ესაა ის ძირითადი ნიშნები, რომელმაც განსაზღვრა ტეტრაკონქის ტიპის არქიტექტურული სტრუქტურა. აუცილებელმა პირობამ - გამოხატულიყო ღვთის დიდებულება, მისი მარადისობის იდეა - წარმოქმნა ნაგებობის ცენტრში მაღლა ატყორცნილი გუმბათი ყელით, რომელიც ზეციური სინათლის წყაროსაც წარმოადგენს. იქმნება შთაბეჭდილება ზემოდან ჩამოდვრილი ნათლით გაჟღენთილი ეკლესიის სივრცისა. ხუროთმოძღვრებაში გაცნობიერდა შეუსაბამობა საკულტო ნაგებობისათვის ისეთი გადახურვის გაკეთებისა, რომელიც უშუალოდ კედლების ზემოთ იწყებოდა და მოიძებნა ახალი ელემენტი - გუმბათის ყელი სარკმელებით. ეს ცვლილებები მოითხოვდა გუმბათქვეშა კვადრატის გაფართოებას, რაც ზრდიდა ცენტრალურ გუმბათქვეშა სივრცეს. როგორცაკად. გ. ჩუბინაშვილი

ფიქრობს, შესაძლოა, ეს ფორმა საქართველოში სხვა ქვეყნებისგან სრულიად დამოუკიდებლად ყოფილიყო შემუშავებული.

მართალია, უძველესი გუმბათიანი ეკლესიებიდან უმეტესობამ ვერ მოაღწია ჩვენამდე, ძალიან ბევრი მათგანი განადგურდა, ზოგიერთი მოგვიანებით საფუძვლიანად გადაკეთდა, მაგრამ დარჩენილ ნაგებობათა მიხედვითაც საკმაოდ ნათელი სურათი იქმნება უძველესი ქართული ცენტრული ტაძრების შესახებ. როგორც ირკვევა, VI-VII საუკუნეებში გუმბათიან ტაძართა რამდენიმე ტიპიდან ყველაზე საიტერესო ევოლუციური გზასწორედ ტეტრაკონქმა განვლო.

დღესდღეობით საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით ოციოდე ტეტრაკონქული ტიპის ტაძარი ან მისი ნანგრევია ცნობილი, რომელთა უმეტესობა დღევანდელი საქართველოს, ნაწილი კი თურქეთში, ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზეა შემორჩენილი. მათ შორისაა ჩვენამდე მოღწეული უძველესი ტეტრაკონქის ტიპის ორი შენობა - VI საუკუნის შუა წლების ძველი გავაზის (ყვარლის რაიონი) და ამჟამად უკვე გამქრალი, მხოლოდ ისტორიულ დოკუმენტებსა და რამდენიმე ფოტოზე დაფიქსირებული, თბილისის ძველი ქაშუეთის ეკლესიები. ორივე მარტივ კომპოზიციას წარმოადგენს: ცენტრალური გუმბათქვეშა კვადრატის ყოველ მხარეს აფსიდი, სივრცის მომრგვალებული ნაწილია გამართული, რომელიც გადახურულია ისევ სფერული ფორმის კამართანუ კონქით. გავაზის ტეტრაკონქი გადაკეთდა ჯერ კიდევ 8-9 საუკუნეში, როდესაც ძველი გუმბათი ძლიერ ამაღლდა და მიეცა გარედან წესიერი ვაწახნაგოვანი ფორმა. გარდა ამისა, შენობის ტანს სამი მხრიდან, სამი აფსიდის ირგვლივ გაუკეთდა კამარიანი ღია გარშემოსავლელი. თბილისის ქაშუეთის ეკლესია კი XX საუკუნის დასაწყისში დაანგრეს და ახლით შეცვალეს.

თავისი პირვანდელი ფორმებით გავაზის ტეტრაკონქიადრეული გუმბათიანი შენობაა, რომელშიც ჩანს ხუროთმოძღვრის მოუხერხებელი, ჩამოუყალიბებელი მცდელობა შეექმნა სრულიად განსხვავებული არქიტექტურული სივრცე. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულია გეგმით ნალისებური აფსიდების ფორმები, რომლებიც თითქოს განზე, ფართოდ იშლებიან თავიანთი მომრგვალებული კონტურის იქითაც, მის მიერ შექმნილი სივრცის მასშტაბურობის შთაბეჭდილების მოსახდენად. აფსიდების კამარების ნალისებური ფორმა ტაძრის სიმკვრივის შთაბეჭდილებასაც ახდენს მნახველზე. კონქები,

როგორც შენობის დამოუკიდებელი ნაწილები, კორიზონტალური კოზმიდის გავლებით გამოიყოფა დაშესასვლელიდანვე აღნიშნავს შენობის დანიშნულების ძირითად არსს. თავისი გარეგანი სახით ძველი გავაზი პირდაპირ იმეორებს შინაგანს. სავარაუდოდ, ის თავიდანვე მოუხეშაობის შთაბეჭდილებას ახდენდა ოთხი ნახევრადმრგვალი ტლანქი აფსიდის წყალობით, რომელთა ფორმა ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული. აქ ნათლად ვლინდება ახალი ეპოქის ტენდენცია, სივრცითი ამოცანების გადაწყვეტით გატაცებული ხუროთმოძღვარი სათანადო ყურადღებას ჯერვერ აქცევს თავისი შენობის გარეგნობას.

მარტივი ტეტრაკონქული ფორმის ძეგლების გარდა, ამავე დროს ეკუთვნის აგრეთვე ცდა, შექმნან უფრო რთული ფორმის გუმბათიანი შენობები, რომელიც მხატვრული თვალსაზრისით წარმოადგენს გარდამავალ მოვლენას ახალი ძიებების გზაზე. ერთ-ერთ ასეთ საექტაპონაგებობას წარმოადგენს ნინოწმინდის კათედრალი კახეთში, რომელშიც მარტივი ტეტრაკონქის ტიპის განვითარებასა და გართულებას ვხედავთ. ხუროთმოძღვრის წინაშე იდგა რთული ამოცანა, აეგოარა უბრალო სოფლის სამლოცველო (როგორც, მაგალითად, ძვ. გავაზია), არამედ დიდი, იმპოზანტური გარეგნობის მქონე საკათედრო ტაძარი. არქიტექტურულ-მხატვრული ძიებებით ის ერთ-ერთ საინტერესო ძეგლს წარმოადგენს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. თავისი გეგმითა და კონსტრუქციული მახასიათებლებით ნინოწმინდა ყველაზე ახლოს დგას ცნობილ ქართულ ტაძართა ჯგუფთან, რომელსაც მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლებს უწოდებენ. ნინოწმინდა მკაფიოდ გამოხატავს ტეტრაკონქული ტიპის ნაგებობათა ევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს და სწორედ ამიტომ ავირჩიეთ იგი ჩვენი დღევანდელი მსჯელობის ძირითად ობიექტად.

ნინოწმინდის საკათედრო ტაძარი საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში მდებარეობს. გეგმით ის იშვიათი ხუროთმოძღვრული ჩანაფიქრის მქონე ნაგებობას წარმოადგენს. ამავე დროს, ის კახეთის რეგიონის ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობაცაა. სამწუხაროდ, ამჟამად მისგან ნანგრევებიღაა შემორჩენილი. გადარჩენილია ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილი და დანარჩენი კედლების მცირე მონაკვეთები, რომელთაც დასავლეთიდან გვიან მიშენებული მცირე ზომის სამლოცველო ამაგრებს. განსაკუთრებით დაზიანებულია სამხრეთი მხარე, ფასადის ხაზი ადგილ-ადგილ მთლიანად წაშლილია. შედარებით უკეთესი

მდგომარეობაა ჩრდილოეთით. წერილობითი წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ ტაძრის ეს გამანადგურებელი ინგრევა XIX საუკუნის პირველ მეოთხედში მომხდარა.

XVII საუკუნის ბოლოს ტაძარს დასავლეთიდან კარიბჭე გაუკეთეს. ცნობილია, რომ ამ დროს ტაძარი ჯერ კიდევ დაუზიანებელი იდგა. ტაძრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს XVI საუკუნის სამრეკლო. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ტაძარი განუახლებია და ჩრდილოეთის მხრიდან, ნინოწმინდის ეპისკოპოსს, საბა ტუსის შვილს, რომელსაც სამრეკლოს ჩრდილოეთ კედელზე საკუთარი ორსართულიანი სასახლე მიუძღვნებია. ამჟამად, ნინოწმინდის ტაძრის ტერიტორიაზე მონასტერი ფუნქციონირებს.

კათედრალის ნანგრევები, მასზე მიდგმული მცირე ზომის სამლოცველო, სამრეკლო და სასახლე, აგრეთვე მთელი რიგის აყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობები, გარშემორტყმულია გალავნით. მთელი ეს კომპლექსი ნინოწმინდის სოფლის შუაგულში, ვაკეზე მდებარეობს და საკმაოდ დიდი ტერიტორია უჭირავს. დღესდღეობით ძეგლი, ასე თუ ისე, მოწესრიგებულია და ნანგრევებიც კი მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს.

გეგმით ნინოწმინდა სიმეტრიული, ცენტრალური „ვარსკვლავისებრი“ კომპოზიციანია. ნაგებობის ცენტრში იქმნება ჯვრული სივრცე, მკლავების აფსიდური დაბოლოებებით, რომელთა შორისაც დამატებულია კიდევ დამხმარე სათავსები. ეს დამატებითი ოთახები გეგმით სწორკუთხედებია ერთმანეთის პირისპირ განლაგებული აფსიდებით, რომელნიც თავიანთი მდებარეობით ზუსტად აღმოსავლეთ-დასავლეთით არ არის მიმართული (აღსანიშნავია, რომ მსგავსი გეგმა აქვს ბოლნისის სიონის სანათლავს). ტაძარი გარედან მთლიანად „მოძრავი“ წრიული მოხაზულობისაა. გარედან, როგორც მკლავების ოთხივე აფსიდი, ასევე მათ შორის მდებარე ოთხი დამატებითი სივრცეც ნახევარწრიული კედლებითაა შემოფარგლული და მხოლოდ საკურთხევის აფსიდის შუა ნაწილია გარედან მსუბუქად დაწახნაგებული. ტაძრის კომპოზიციის ცენტრს წარმოადგენდა გუმბათი, რომელიც მთლიანად დანგრეულია და უკვალოდ გამქრალი.

ტაძრის კედლების წყობა, ძირითადად არც თუ მთლად სწორი ფორმის ქვის დიდი კვადრებისგან შედგება, მომწვანო ფერისაა და უხეშად დამუშავებული.

დანგრეული ნაწილების მსხვილ კვადრებს შორის მოჩანს ყორექვით შევსებული მოზრდილი ლოდების ნამსხვრევებიც.

ნინოწმინდის კამარები და თალები გამოყვანილია მოყვითალო ფოროვანი შირიმით. ეს მასალაა გამოყენებული აქა-იქ შემორჩენილი გუმბათის ყელის ფრაგმენტების გარედან მოსაპირკეთებლად. ამქვის გამოყენება ნაგებობის სწორი ზედაპირისთვის, კამარებშიდა აგრეთვე კარნიზების ქვემოთ ფასადების ზედა რიგებში, მეტყველებს, რომ ტაძრის ეს ნაწილები თავდაპირველ მშენებლობას არ მიეკუთვნება, არამედ სარესტავრაციოსამუშაოების ერთ-ერთი პერიოდისაა. გამოქარული ან გაფუჭებული ნაწილების ცალკეული შეკეთებებიც შესრულებულია ანალოგიური ამ მოყვითალო ფერის შირიმით

ტაძრის შიგნით, გუმბათის ყოველი საბჯენის წინა კონტრფორსები ამოყვანილი იყო მწვანე, ოდნავ უფრო სხვა ტონალობისა დანაკლები ზომის ქვებისგან, ვიდრე ნაგებობის ძირითადი ნაწილები. აღსანიშნავია, რომ ნაგებობის სხვა ნაწილებისა და კონტრფორსების გადაბმის ადგილები არსად შეინიშნება.

ტაძარს გარედანაც ეტყობა ძლიერი შეკეთების კვალი. პირველადი წყობა გამოყვანილია ისეთივე მწვანე ფერის დიდი კვადრებით, რომელიც შიგა სივრცეშიც აღნიშნული გვქონდა. საკურთხევლის აფსიდში ქვედა ნაწილში წყობა ყვითელი ქვიშაქვისაა, კარგადაა დამუშავებული და გამოირჩევა სხვა მასალისგან. ეს კვადრები, სავარაუდოდ, ძალიან ძველი უნდა იყოს, რაზეც უნდა მეტყველებდეს ამ მასალის შეზღუდული გამოყენება. საკურთხევლის აფსიდის სხვა ნაწილებში გარედან ბევრი ადგილია შეკეთებული ქვითაც და აგურითაც. აფსიდის კარნიზის ქვეშ, სამ რიგში ყვითელი შირიმია ნახმარი. ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნახევარწრეები ამავე ქვითაა მოპირკეთებული. კარნიზი - აგურის რიგებით, რომელიც მონაცვლეობითა დალაგებული - ხან კუთხით წინ, ხან კი სწორად.

ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი, არ არის დიდი შეკეთებული ზედაპირები. შეკეთებულია მხოლოდ ცალკეული მონაკვეთები.

სერიოზული დაზიანების გამო გვიან პერიოდში მთელი ნაგებობა აგურით აღუდგენიათ. 1671 წელს დასავლეთიდან მისთვის აგურის კარიბჭე მიუშენებიათ,

რაც მოხსენიებულია იქვე მოთავსებულ წარწერაში (ამჟამად წარწერა გვიანდელი, დასავლეთის ნაწილზე მიშენებულ სამლოცველოშია მოქცეული).

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში. საკურთხევლის აფსიდი თითქმის ხელუხლებლადაა შემორჩენილი. ცენტრში სამი საკმაოდ დიდი თაღოვანი სარკმელია მოთავსებული. შუა სარკმლის ქვეშ, კედლის ცენტრში, შემორჩენილია ქვის ამალღებული ნაწილის ფრაგმენტები (სავარაუდოდ, ეპისკოპოსის ტახტი), რომლის ორივე მხარესაც აფსიდისკედლებს აგურისგან გაკეთებული დასაჯდომები მიუყვება. ბემა გამოყოფილია კედლის შეღრმავებით. ბემის უბეში, ჩრდილოეთ კედელთანმაგიააჩადგმული, რომელიც არ ავსებს უბის მთელ სიგანეს. რაც, სავარაუდოდ, იმაზე მიუთითებს, რომ ის არ უნდა იყოს ძველი (თუმცა, ზედა ქვის ფილა შესაძლოა მაინც იყოს თავდაპირველი სამსხვერპლოსი). საყურადღებოა, XVIII საუკუნეში ნინოწმინდის ეპისკოპოსი, საბატუსისშვილი წერდა, რომ მთავარ საკურთხეველში, მის მიერთილი ქვისგანიყოგაკეთებულისამსხვერპლო. არსებული საკურთხევლის სამსხვერპლო ყვითელი შირიმისააქვედა ნაწილში, ხოლო ზედა ნაწილი აგურისაა. ისმყარად დგას თვითონ ბემის ნაწილის ცენტრში. იმ დროს, როდესაც ეს ტაძარი გ. ჩუბინაშვილმა ინახულა აქ 4-5 მეტრის სიმაღლის გაჯით შელესილი აგურის კანკელი იდგა, რომელიცგუმბათქვეშა სივრცეში სამი კარის ღიობით იყო გხსნილი. კანკელის შუა ნაწილი ძლიერად იყო დაზიანებული.

აფსიდის კონქი არ შემორჩა თავდაპირველი სახით. იგი აღდგენილია მოყვითალო შირიმით ტაძრის პირველი აღდგენის დროს. ვფიქრობთ, კონქის გარე ნახევარწრიული საბრჯენი თალიც იმ დროსვეუნდა იყოს აღდგენილი იმავე მასალით. აფსიდში შემორჩენილია გვიანდელი მოხატულობის ფრაგმენტები.

აფსიდის კუთხის შვერილები ისევე, როგორც ყველა დანარჩენი გუმბათქვეშა საბჯენები, ნაშენია ნახევარწრიული ფორმის კონტრფორსებით. ზემოთ კონტრფორსები აღწევენ აფსიდის თაღის ქუსლის ხაზს დაკვადრატულ ფილას, რომელიცშედგმულია თაღის ქვეშ დამატებითი სადგომების ზემოთ, ჯვრის მკლავებს შორის. აფსიდის კონტრფორსებში, ორ მესამედის სიმაღლეზე,ამოჭრილია ნახევარწრიული ნიშები, რომლებიც ერთმანეთის პირისპირაა განლაგებული (საინტერესოა, რომ ასეთივეკონტრფორსი იყო გამოყენებული ძველ გავაზშიც ტეტრაკონქის გუმბათქვეშა ბურჯების წინ).

სამი დანარჩენი ჯვრის მკლავი ძლიერაა დანგრეული. დასავლეთის შემორჩენილია მხოლოდ ნახევარსიმაღლემდე. შუა თაღოვანი ლუნეტი ამოვსებულია. თვითონ კარი ორივე მხრიდან შევიწროებულია. თავდაპირველად, დასავლეთის შესასვლელს ჰქონია განსაკუთრებული, ოდნავ გარეთ გამოსული პორტალი, რომლის გადარჩენილი ფრაგმენტები ჩანდა გვიანი პერიოდის აგურის კარიბჭეში (ახლა ეკლესიის აფსიდი ფარავს). პორტალის ეს ნაწილები შედგებოდა ნახევარსვეტებისგან, ზემოთსფერული მომრგვალებით. პორტალი გადაიოდა პორტიკში, რომლის ფუნდამენტის ნაწილებიც, ჯერ კიდევ მოჩანდა გ. ჩუბინაშვილის ექსპედიციის დროს. ტაძრის დასავლეთის შესასვლელის ზემოთ სარკმლის დიობია. მისგან გადარჩენილია მხოლოდ ქვედა ნაწილი. სარკმელი ამოქოლილია აგურით, სავარაუდოდ, კარიბჭის მიშენების დროს.

სამხრეთის მხარეს ნაგებობის უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი. ბუნებრივია, დასავლეთის აფსიდის მსგავსად, სამხრეთისა და ჩრდილოეთის აფსიდებშიც უნდა ვივარაუდოთ კარის ზემოთ დიდი სარკმლების არსებობა.

ჩრდილოეთის მკლავი ნაწილობრივაა გადარჩენილი გარკვეულ სიმაღლემდე. აფსიდის ცენტრშია გაჭრილი შესასვლელი, რომლის თაღის გადარჩენილი ნაწილი, აღმოსავლეთით, მოგვიანებითაა შეკეთებული მოყვითალო შირიმით. ყველა შემდგომი გადაკეთებები შესრულებულია აგურით: შესასვლელის სიგანე შევიწროებულია დათავი გამოყვანილია დაბრტყელებული ფორმის მთლიანი ქვის ბლოკისგან. ეს უკანასკნელი ცვლილებები, დასავლეთის მხარის გადაკეთებასთან ერთად, XVII საუკუნის მეორე ნახევრისაა, რაც განისაზღვრება როგორც მასალით (აგური და მოყვითალო შირიმი), ისე ერთნაირი ტიპის ქვის ბლოკების გაფორმებით. კონქის წინა თაღი არ შემორჩენილა, მაგრამ ჯერ კიდევ არის მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი კაპიტელი, რომელიც აღდგენის მასალის მიხედვით საკურთხეველის კამარის შემორჩენილი ნაწილების ჯგუფში ერთიანდება.

ჩრდილოეთის მხარე საკმაოდ ამაღლებულია. აქედან ტაძარში ჩასასვლელი კიბეა მოთავსებული, რომელსაც ჩრდილოეთის სივრცის საკმაოდ დიდი ნაწილი უჭირავს. აღსანიშნავია, რომ ეს მხარე

უკვე ძველ დროში ვეყოფილა მიწით დაფარული, რადგანაც ირკვევა, რომ 1671 წელს ზღურბლიდან ტაძარში 7 კიბის საფეხური ეშვებოდა.

დამატებითი სათავსებიდან შემორჩენილია კამარებამდე, საკურთხევლის აფსიდის ორივე მხარის მიმდებარე ოთახები მთელს სიმაღლეზე. დასავლეთის მხრიდან კი ასეთი დამატებითი სივრცეების მხოლოდ ქვედა კედლები. აქედან სამხრეთ-დასავლეთის მხარის მოხაზულობის დადგენა მხოლოდ გეგმის დონეზეა შესაძლებელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გუმბათქვეშა კვადრატის დიაგონალზე განლაგებულ ყველა დამატებით სათავსებს, გეგმის მიხედვით, ერთნაირი ფორმა ჰქონდათ (ესენი ალბათ სამკვეთლო, სადიაკვნე, საქალებო და სანათლავია ანუ პასტოფორიებია). შუა სწორკუთხედისგვერდითი ნაწილები მთავრდება აფსიდური დაბოლოებებით. ეს სადგომები მთავარ გუმბათქვეშა კვადრატისკენ გახსნილი იყო ფართო თაღოვანი მალით სწორკუთხედის ერთი უფრო გრძელი მხრიდან მაშინ, როდესაც მეორეს გარეთა კარი ჰქონდა გაჭრილი. მთელი ეს თავისებური სივრცე გარედან ნახევარწრიული კედლებით იყო შემოსაზღვრული. ამ დამატებითი ოთახების ფართი უფრო ნაკლებია ვიდრე აფსიდიანი მკლავისა, თვითონ სადგომები არაა მაღალი.

აღმოსავლეთის მხარის ორივე ოთახის კამარები მოგვიანო შეკეთების პერიოდს განეკუთვნება, ისევე, როგორც მოყვითალო შირიმით ნაგები მთელი ზედა ნაწილები, დაწყებული გუმბათქვეშათაღის ქუსლიდან. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხის სათავსი გახსნილია გუმბათქვეშა სივრცეში ფართო თაღით, სიმაღლეში 3-4 მეტრია. დამხმარე ოთახებს ზემოთ აღმართულია გლუვი კედელი ერმანეთის თავზე ორი სწორკუთხა ღიობით. გ. ჩუბინაშვილი თავის ნაშრომში „კახეთის არქიტექტურა“ წერს, რომეს არის პატარა ირეგულარული ფორმის კამერა ბრტყელი გადახურვით (ოთახი უნახავს ექსპედიციის წევრს, მხატვარ პ. გამბარიანს, რომელიც ოთახიდან ჩამოშვებული ჯაჭვით ასულამასში).

ჩრდილო-აღმოსავლეთ დამხმარე სადგომის შუა, გეგმით სწორკუთხა ნაწილი, გადახურულია ცილინდრული კამარით. ამ ოთახის აღმოსავლეთ აფსიდში პატარა ვიწრო თაღოვანი სარკმლის ღიობია, ხოლო მის წინ გვიანი პერიოდის სამსხვერპლო აგანთავსებული. ამავე ნაწილის დასავლეთის აფსიდში, აგრეთვე გვიან, გახსნეს კარი, აგურით გამოყვანილი წირთხლებით, რომელსაც ჩრდილო აფსიდის ბემის არეში შევყავართ. დამატებითი ოთახის თავდაპირველი გარედან შესასვლელი კარი მოგვიანებით ამოუქოლიათ

დაამგვარად შიგნით შექმნილია ბრტყელი ნიშა. ნიშაში მოყვითალო შირიმია გამოყენებული, რაც მისი ამოშენების დროის მაჩვენებელიცაა. დანარჩენი ქვის მასალაერთგვაროვანია ნახევარწრიულ კონტრფორსებსადა ჩრდილო-აღმოსავლეთ მომრგვალებისშეკეთებაში. გარედან ეს თავდაპირველი კარის ღიობი გადახურულია ერთიანი მთელი ქვის ბლოკით. ამპატარა ოთახების კონქების კამარებში შელესილობის ქვეშ ბევრ ადგილას, მოჩანს რიყის ქვა. სათავსის იატაკი დაახლოებით ორი საფეხურით დაბალია საკურთხევლისა და ტაძრის სხვანაწილების იატაკზე.

სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარის კუთხის სათავსი უერთდება გუმბათქვეშა ნაწილს მაღალი, ოდნავ წაწვეტებული თაღით. მის თავზე აღმართული არც ისე მაღალ კედელს აქვს ისეთივე ანალოგიური ღიობი, როგორც ზედასჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის ოთახის კედლის ნაწილში. შესასვლელი კარი აქაც ამოშენებულია. მის თავზეც გადებულია ჰორიზონტალური ზღუდარი. აღმოსავლეთის მხარის აფსიდში ვიწრო პატარა თაღოვანი სარკმელია. მის ქვემოთაც უძრავი, კედელს მიდგმულისაკურთხეველი, შირიმისგანაა მოყვანილი. აფსიდის ნაწილის გადახურვა, მართალიაგამოყოფილია გარე თაღებით, რომელთაც აქაც თითქმის ბრტყელი ფორმა აქვთ. ამ ოთახის კედლებიცმრავალჯერაა შეკეთებული.

ტაძრის სხვადასხვა დროის აღდგენა-შეკეთებების განსაზღვრაში თავად ტაძარზე გამოყენებული მასალა გვეხმარება. როგორც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, ნინოწმინდის ტაძარშიგამოყენებული მასალების მრავალფეროვნება ამა თუ იმ ეპოქისმშენებლობის სანდო ორიენტირებს წარმოადგენს და რესტავრაციისას გამოყენებული მასალის შესწავლის გზითტაძარში განხორციელებულ ცვლილებებში გარკვევასულ სხვა სურათს იძლევა. გუმბათის ყელის ნარჩენები ყველა შემთხვევაში აღდგენის დროინდელია, ისევე როგორც შემორჩენილი თაღები და კამარები. ყელს შიგნიდან ცილინდრული ფორმა, ხოლო გარედან წახნაგოვანი მოყვანილობა ჰქონდა ოთხისარკმლით. ყოველ შემთხვევაში, ჩანს, რომ აღმოსავლეთით შემორჩენილია მხოლოდ ერთი სარკმელის ღიობის ფრაგმენტები. სარკმლის ქვემოთ გადის პროფილირებული კარნიზი, ზევით ორი დიდი და ქვედა პატარა ლილვით. რომელიც აფსიდის ზემოთ შემორჩენილ კედელზე კარგად მოჩანს. გუმბათის წრიულ ყელზე გადასვლა წარმოქმნის პატარა

აფრებს, რომლებიც რვაკუთხედზე ზის. გუმბათის ყელის ძირი აღნიშნულია ოდნავ გამოწეული ჰორიზონტალური ზოლით. გუმბათის ყელზე გადასვლის ეს ხერხი გულისხმობს, რომ გარედან არ უნდა ყოფილიყო გამოყოფილი გუმბათქვეშა კვადრატის გამოწეული კუთხეები. ტაძრის ჯვრის მკლავებს უფრო მეტი სიმაღლე აქვთ, ვიდრე მათ შორის მოთავსებულ ნახევარწრიულ ოთახებს. გ. ჩუბინაშვილის აზრით, თავდაპირველად გუმბათის ნაცვლად აქ შესაძლოა ე.წ. შეკრული კამარის ფორმა ყოფილიყო ნახმარი. ნაშრომში „კახეთის არქიტექტურა“ მის მიერ წარმოდგენილი ჭრილის რესტავრაცია ამ მოსაზრების შესაბამისად არის მოცემული.

გუმბათის ყელი, ისევე როგორც ყველა თალიდა კამარა გამოყვანილია მოყვითალო შირიმით. 9-10 საუკუნების კახეთის ტაძრები ამ მასალითაა აგებული (გ.ჩუბინაშვილი) და ნინოწმინდის შირიმით შეკეთებაც შეიძლება ჩაითვალოს ტაძრის უძველეს რესტავრაციად. შესაძლოა, ამავე პერიოდში, ან უფრო ადრეც, მოხდა აღმოსავლეთის მხარის ორივე კუთხის ოთახის გარეთა შესასვლელების გაუქმებაც. უცნობია, თუ რომელ საუკუნეს განეკუთვნება დიდი, ყვითელი, თითქოს გაპრიალებული ქვიშაქვის კვადრები აღმოსავლეთ ფასადზე, რომელიც ხუთკუთხედის წახნაგოვან ფორმას აძლევს ტაძრის აფსიდს გარედან. გ. ჩუბინაშვილს მიაჩნია, რომ აქ მკვეთრად გამოყალიბებული ხუთწახნაგოვნება თვითონ ნაგებობის კონცეფციის განმსაზღვრელია. ამ კვადრებზე არის პატარა წარწერა. მათ გვერდითჩართულია ცალკეული ქვაზე ნაკვეთი მორთულობები, რომლებიც უწესრიგოდაა გაბნეულიწახნაგებზე.

დროის მხრივ შემდგომი რესტავრაცია მიზნად ისახავდა არა ცალკეული ნაწილების შეკეთებას, არამედ მთელი ნაგებობის ერთიანობის შენარჩუნებას. ტაძრის შიგა სივრცეში მკვეთრად წინგამოწეული კუთხის შვერილების კედლები, რომელთაც გუმბათი ეყრდნობოდა, გაძლიერებული იყო თითოეულის წინ კონტრფორსის მიშენებით. კონტრფორსებისთვის, როგორც უკვე ვთქვით, გამოყენებულია მუქი მწვანე ფერის პატარა კვადრები, ისეთივე მასალა, როგორც თავდაპირველი. კონტრფორსებიჯვრის მკლავების თაღების ქუსლების ერთ სიმაღლეზე მდებარეობს და ზემოთ პატარა კარნიზებით მთავრდება. მაშასადამე, აქ არსებული თაღების ჩვეულებრივი კაპიტელები ან იმპოსტები მთლიანად დაფარული იყო კონტრფორსებით. დამხმარე სათავსების თაღების ქვეშ,

კონტრფორსების კარნიზის ზემოთ, ჩანს დაუმუშავებელი ქვის კუბები, რომელთა მეშვეობითაც გუმბათქვეშა თაღები ერთ სიმაღლეზეა განთავსებული.

მესამე მკვთრად გამორჩეული ტაძრის რესტავრაცია XVI საუკუნეში ჩატარებულა. როგორც ეს ირკვევა კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის სიგელიდან, 1597 წ., მის მამას, მეფე ლეონს მეორედ აუშენებია და შეუმკია ნინოწმინდის ტაძარი. ამ დროისაა მაღალი სამრეკლოც, რომელიც მოგვიანებით მოექცა ტაძრის გალავანში, აგრეთვე კანკელი, ახალი გასასვლელები შიგნით, ფრესკული მხატვრობა და სხვ. შესწორებები. აღსანიშნავია, რომ ნინოწმინდის სამრეკლოს სამშენებლო თავისებურებები ნაგებობების ხასიათი ემთხვევა გრემის სასახლის ნაგებობებისას, კერძოდ, იქვე არსებულ მთავარ-ანგელოზის ტაძარს და ახალ შუამთას. ირკვევა, რომ ლეონის დროსვე მომხდარა ნინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრის გამყარება და აღზევება, როგორც კულტურული ცენტრისა.

ნინოწმინდის ტაძრის მეოთხე რესტავრაცია ზუსტადაა დათარიღებული, 1671 წლით. ამ დროს დასაღვთიდან მის შესასვლელზე მიუშენებიათ აგურის კარიბჭე. წყობა აქ უფრო მდარეხარისხითაა შესრულებული ვიდრე სამრეკლოში. კარიბჭის შუა ნაწილს აქვს გუმბათოვანი კამარა. გარედან გადახურული იყო ორქანობა სახურავით, ხოლო კედლები გაფორმებული XVI-XVII საუკუნეების აგურის ნაგებობების მსგავსად. კარიბჭის შიგნით, ტაძარში შესასვლელის თავზე ჩადგმულია დიდი ქვის წარწერიანი ქვის ფილა ნიკოლოზ ანდრონიკაშვილის მხედრული წარწერით (ამჟამად დასავლეთის მხარის სამლოცველოს ფასიდის კედელშია ჩასმული). წარწერაში ვკითხულობთ, რომ გარედან სარემონტო სამუშაოები ჩატარდა აგურით, კანკელი დაიფარა მხატვრობით და ტაძარს მიუშენდა კარიბჭე. ამავე დროსაა შესრულებული მთელი ტაძრის აგურით გამოყვანილი კარნიზი, აგრეთვე წვრილმანი შეკეთებები ფასადებზე. მოჩუქურთმებული ქვის ჩარჩოების ჩასმით დაავიწროვეს ტაძრის დასავლეთის კარი.

შემონახულია აგრეთვე ერეკლე II დროინდელი ტაძრის შეკეთება-გადაკეთების ბრძანება. საბა ტუსისშვილის დროს, 1774 წელს, გაკეთდა ახალი გუმბათი, საკურთხეველში დაიდგა ახალი სამსხვერპლო, შეკეთდა შიდა სივრცის ზოგიერთი ნაწილი. საინტერესოდოკუმენტია საბა ტუსისშვილის დღემდე შემორჩენილი ანდერძი („ანდერძისებრი ღუწაწა“), რომელიც ტაძრის გუმბათის

აღდგენასაც ეხება. როდესაც 1740-იან წლებში საბა ეპისკოპოსს მოღვაწეობა დაუწყია, გუმბათი ისეთ სავალალო მდგომარეობაში ყოფილა, რომ ემინადათ თავზე არ დაქცეოდათ. მის დანგრევაზე ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირვებიათ, მაგრამ აგება კიდევ უფრო რთული საქმე გამომდგარა. ნინოწმინდის თავდაპირველი გუმბათი ძალიან დიდი იყო, დიამეტრი დაახლოებით 10-11 მეტრი უნდაჰქონოდა. საბა ნინოწმინდელის ეპოქაში კი ამხელა გუმბათებს უკვე ვეღარ აკეთებდნენ. XVIII საუკუნის ყველაზე დიდ ქართულ ეკლესიებში (მაგ. თბილისის ქაშუეთი, ბარაკონი და ლარგვისის წმ. თევდორე) გუმბათის დიამეტრი 4-5 მეტრს არ აღემატებოდა. საბა ნინოწმინდელი ანდერძში თითქოს თავს იმართლებს და ამბობს, რომ გუმბათის ძველი ყელის შიგნით ახლის ამოყვანა და გუმბათის დიამეტრის შემცირება შეუძლებელი იყო. ამიტომ ძველი ყელი აღარ მოუნგრევიათ, უფრო მაღლა აუწევიათ დაასე ამოუყვანიათ მასზე გუმბათის ნახევარსფერო, რომელიც წყლის გაჟონვის გამო თურმე მალევე დაუშლიათ და ისევ თავიდან აუშენებიათ. საბოლოოდ გუმბათი იმდენად დიდი გამოვიდა, რომ მისი სიმყარე იმთავითვე ეჭვს იწვევდა. გადმოცემით, ერეკლეს როდესაც უნახავს განახლებული ტაძარი საბასთვის უთქვამს ეკლესია კი არ აგიშენებია შენ დაგინგრვიაო - „საპალნე დიდი დაგიდგამს, ფეხები გამოგიცლია“-ო. მართლაც, მალე მიწისძვრის შედეგად გუმბათი მთლიანად ჩამოიქცა.

ტაძარი, როგორც ვიცით, საბოლოოდ 1824 წლის მიწისძვრის დროს დაინგრა. მისი შემდგომი ნგრევა 1848 წელს მოხდა. ნინოწმინდის ნანგრევებმა ოდნავ სახე იცვალა მას შემდეგაც. ამჟამად ტაძრის ტერიტორიაზე მონასტერი ფუნქციონირებს და ეზო საგულდაგულოდაა გაწმენდილი ტაძრის ნანგრევებისგან. ჩანს, რომ სამუშაოები შესრულებულია სპეციალისტების მეთვალყურეობის გარეშე. დღეს ასეთი მდგომარეობა ბევრ სხვა „გაცოცხლებულ“ და ამოქმედებულ ძეგლზე შეინიშნება, რაც არა მგონია, რომ მისაღები იყოს. ისტორიული ნაგებობების ამგვარი „მოწესრიგება“ ძეგლთა დაცვის ორგანოების კონტროლის გარეშე არ უნდა ხდებოდეს, ვინაიდან მოსახლეობისა და ეკლესიის ზრუნვაში მემთხვევაში უფრო მეტად აზიანებს ძეგლს, უკარგავს მას ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებას.

როგორც უკვე ვთქვით, დიდია ნინოწმინდის კათედრალის მნიშვნელობა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. ერთი მხრივ, ის წარმოადგენს მარტივი

ტეტრაკონქისთემის შემდგომგანვითარებას, მეორე მხრივკი, გეგმითა და კონსტრუქციულითვალსაზრისით, ყველაზე ახლოს დგასცნობილ ქართულ ტაძართა ჯგუფთან, რომელსაც მცხეთის ჯვრის ტიპს უწოდებენ. თუ ამ ორ ტაძარს შევადარებთ ერთმანეთს, ნათელი გახდება, რომ ნინოწმინდაუშუალო წინამორბედია ძეგლთა იმ ჯგუფისა, რომელსაც სათავეში უდგას შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების უმაღლესი მწვერვალი-მცხეთის ჯვარი.

ისევე როგორც ჯვრის ტიპის ტაძრებში, ასევე ნინოწმინდაში ტეტრაკონქის ძირითადი ჯვრის მკლავები გაწეულია განზე და ყოველი აფსიდის წყვილის შუაჩასმულია საგანგებო დამხმარე სათავეები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ორივე ტიპის ნაგებობებში ისწრაფოდნენ გაეფართოებინათ სივრცე, რაც ქმნიდა შესაძლებლობას ტაძრის ცენტრში გაცილებით დიდი გუმბათი აღემაართათ, ვიდრე ეს არის იმავე რადიუსისა და მოცულობის მარტივ ტეტრაკონქებში. ამგვარად, მიღებულია კუთხის ოთახები, რომლებიც ორგანულად არის ჩართული ნაგებობის ერთიან ხუროთმოძღვრულ სტრუქტურაში, მაგრამ იმავდროულად თითოეულს მინიჭებული აქვს დამოუკიდებელიმოცულობის სახე და ფუნქცია. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ყოველ მათგანსათავისი შესასვლელი აქვს გარედან.

მარტივი, შვერილ აფსიდებიანი ტეტრაკონქის გართულებამ და ამით ტაძრის შიდა სივრცის გაზრდამ, საშუალება მისცა ნინოწმინდის ხუროთმოძღვარს, შეექმნა საკმაოდ დიდი ზომის ნაგებობა. ისევე როგორც ჯვრის ტიპის ძეგლებში, აქაც ხუროთმოძღვრის ამოსავალი ამოცანაიყო მოეძებნა ახალი სივრცული გადაწყვეტა და ეს მან შესანიშნავადგანახორციელა, მაგრამსაკითხის გადაწყვეტისას ფასადები იმდენად დაუქვემდებარა შიდა სივრცისწყობას, რომვერ შემლო მხატვრულად და რაც მთავარია, კონსტრუქციულად სრულყოფილინაგებობისშექმნა, რამაც მისი ნგრევა გამოიწვია.

როგორც ვიცით, ნინოწმინდისა და მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძრების არქიტექტურული ფორმის ამოსავალი მარტივი ტეტრაკონქი იყო და ახალი ხუროთმოძღვრული იდეის განვითარება არ გასცილებია ტეტრაკონქის ჩარჩოებს. ნინოწმინდაში ჩვენ ვხედავთცენტრულ კომპოზიციას, მკაცრად სიმეტრიული ნაწილებით. კათედრალში შესვლისას თვალწინ იშლებოდა მთელისივრცე, გვერდითი ოთახებითა და მათ ზემოთგუმბათით, რომელიც ნაგებობის ინტერიერის განათების მთავარ წყაროს წარმოადგენდა. სინათლეთანდათან

ძლიერდებოდა გუმბათის სარკმელებიდან ქვემოთ, საფეხურებად, სადაც ემატებოდა ახალი განათების წყაროები, განსაკუთებით საკურთხევლის სამი სარკმელი. ნინოწმინდის ხუროთმოძღვარი ამ თვალსაზრისითაც წინამორბედია მცხეთის ჯვრის გენიალური მშენებლისა, რომელმაც იგივე სქემით ააგო მცხეთის ჯვრის ტაძრის განათების სისტემა, როგორც სინათლის განაწილებისა და კონცენტრაციის, ასევე განათებული და ნახევრადგანათებული ნაწილების გრადაციით და ბოლოს, საკურთხეველში სამი სარკმლით შექმნა ძლიერიაქცენტი.

გეგმის მკაცრი სიმეტრიულობის დაცვით ნინოწმინდის ხუროთმოძღვარმა კიდევ უფრო დააგრძელა ჯვრის მკლავები აფსიდების წინ ბემის ჩასმით. უდავოდ, ეს გამოწვეული იყოსურვილით, გაეზარდა ნაგებობის მოცულობა და ასევე კონსტრუქციული მოსაზრებებითაც უსაფრთხო გაეხადა შენობის მდგრადობა, ყელიანი მძიმე გუმბათის დაწოლისა და განმბრჯენი ძალების ზემოქმედებისგან. ამას, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვდა ნაგებობის დიდი ზომები. აქაც თავს იჩენს დამთხვევა ნინოწმინდისა და მცხეთის ჯვრის არქიტექტორთა წინაშე წამოჭრილი პრობლემის ანალოგიურ გადაწყვეტაში, მაგრამ ჯვრის ოსტატი კიდევ უფრო შორს წავიდა - მკაფიოდ გამოავლინა და უფრო მეტი დოზით გამოიყენა ეს ხერხები თავისი სივრცული კომპოზიციის შესაქმნელად.

ნინოწმინდის კუთხის ოთახებიც ასევე სრულიად დაცულია განმბრჯენი ძალების ზემოქმედებისგან, განსაკუთრებული ფორმების შექმნით - გეგმის სიმწყობრითა და მასიური კედლების აგების საშუალებით. მკვლევარები ფიქრობენ, რომ სწორედ ამ უსაფრთხოების და სიმყარის მოსაზრებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი კედლების ფორმაც და სისქეც. ტაძრის თითოეული ოთახი დაკავშირებული იყო მთავარ სივრცესთან მაღალი და ფართო თაღით, მაგრამ ამავე დროს ის საკმაოდ დამოუკიდებელიც იყო საკუთარი შესასვლელის გამო. დამხმარე სათავსების ასეთი მოწყობა საშუალებას იძლეოდა მოეხმარათ ისინი სპეციალური საეკლესიო საჭიროებებისთვის, მოეწყობათ სადიაკვნე და სამკვეთლო. დანარჩენი, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ოთახებიდან ერთი შესაძლოა, განკუთვნილი იყო, ისევე როგორც მცხეთის ჯვრის დიდ ტაძარში, ქალთათვის, მეორე კი სანათლაჲად. საინტერესოა, რომ ნინოწმინდის ანალოგიური სტრუქტურა აქვს ბოლნისის სიონის გვერდით სამხრეთ ოთახს (493 წ.). მასში მოხვედრაც

მხოლოდ ტაძრის მთავარი დარბაზიდანაა შესაძლებელი და ვარაუდობენ, რომ აქ სანათლავი უნდა ყოფილიყო განთავსებული.

რაც შეეხება ტაძრის ფასადების მხატვრულ გადაწყვეტას, ნინოწმინდის არქიტექტორმა ვერ შეძლო მიეღწია ტაძრის სრულყოფილი გარეგნული სახისთვის. იგიგარედან წარმოადგენს საკმაოდ უფორმო, ერთმანეთზე დახვავებული უზარმაზარი ნახევარწრიული მასების ერთგვარ შემთხვევით შერთებას. ტაძრის ფასადებიდანაწევრებულია მხოლოდ მათ შუაში არსებული სარკმლებითა და შესასვლელებით. აღსანიშნავია, რომ ამ გარეგნულ ფორმებშიც ნათლად ჩანს ნინოწმინდის საწყისი ტიპი, ძველი გაგაზის ტეტრაკონქი, მომრგვალებული აფსიდებითა და სადა ფასადებით. თუმცა, ნინოწმინდის ტაძარში უკვე იკვეთება ცენტრალურ ფასადზე ახალი მხატვრული ამოცანის გადაწყვეტის მცდელობა - საკურთხევლის შუა ნაწილი წახნაგებადაა დანაწევრებული, რაც სავარაუდოდ აქ სამი სარკმლის არსებობამ განაპირობა. არქიტექტორი შეეცადა დაერღვია კედლების ერთფეროვნება ცენტრალური აფსიდის შუანაწილის წახნაგებითა და სარკმლის ღიობებით. სადა ფასადის დაწახნაგება აქ დეკორატიულ ელემენტადაა გამოყენებული. ის, რომ სწორედ სარკმლებმა უკარნახა ხუროთმოძღვარს ფასადებზე წახნაგების გაკეთება, ჩანს ტაძრის შიგნითაც, სადაც აფსიდი ზუსტად გამოყვანილი ნალისებური ფორმისაა. ასეთივეა ტაძრის სხვა აფსიდებიც და მისი ყველა თავდაპირველი თალი თუ კამარა, რაც ადრექრისტიანული ქართული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. მშენებელი ცდილობს ეს ხერხი ინტერიერშიც გამოიყენოს, გარკვეულ ადგილებში სწორი კედლები, ერთფეროვანი არქიტექტურული ფორმები აქცენტებით გააცოცხლოს და მრგვალ სივრცეში, კუთხის ოთახების შესასვლელებს ხურავს ბრტყელი ქვის ბლოკებით. შეიძლება ითქვას, რომ ნინოწმინდამ ჩაუყარა საფუძველი ტენდენციას საკურთხევლის ფასადის წახნაგებად დანაწევრების და ამით ერთგვარი დეკორაციული ელემენტის შექმნას. ნაცვლად უდიდამო, ამორფული სტრუქტურის მქონე მასებისა, ხუროთმოძღვარი შეეცადა შეექმნა, უფრო მოძრავი, დანაწევრებული, მრავალწახნაგა აფსიდი, მაგრამ ნინოწმინდაში ეს მცდელობა ვერ დასრულდა წარმატებით - ტაძრის ფასადებმა ვერ მიიღო მიმზიდველი იერსახე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანობის დამკვიდრების ამ ადრეულ

ეტაპზე კვლავ საღვთისმეტყველო პრინციპებიდან გამომდინარე, ფასადებს, როგორც გარე სამყაროს რეალობას, ნაკლები ყურადღება ექცეოდა (ასეთსავე სურათია მთელს ქრისტიანულ სამყაროში იმ დროს, მათ შორის ბიზანტიურ არქიტექტურაშიც). სამაგიეროდ, უკვე არსებული სქემის ჩანასახს, შეიძლება ითქვას, სრულყოფს მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის ხუროთმოძღვარი და ტაძრის ყველა აფსიდის შვერილს მკაფიოდ სამ ნაწილად ანაწევრებს.

როგორც ნინოწმინდის კათედრალის ანალიზმა გვიჩვენა, ის უშუალო კავშირშიამარტივი ტეტრაკონქის გეგმა-სტრუქტურასთან და ამთემისერთი მხრივ გართულებულ ვარიანტს, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეულ სტიმულსქმნისმისი შემდგომიგანვითარებისთვის მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძრებში.

ნინოწმინდის კათედრალშიარსებული მხატვრულ-კონსტრუქციული პრობლემების გადაწყვეტა ჯერ კიდევ პრიმიტიული, მოუქნელი ჩანს.მცხეთის ჯვარში კი არქიტექტორიდიდი მხატვრულიგემოვნებითა და სამშენებლო ლოგიკით უდგება საკითხს. ორივე ტაძარი,ხუროთმოძღვრთა მიერ შექმნილ, გრანდიოზულ არქიტექტურული ორგანიზმია დაროგორც ზოგადი ხუროთმოძღვრული კონცეფციით, ისე გარკვეული დეტალებით თვალნათლივ ჰგავს ერთმანეთს ისეთი ელემენტებით როგორიცაა: ტაძრის გეგმის ძირითადიმოხაზულობა; განზე გაწეული ოთხი აფსიდი და მათ შორის ჩასმული დამხმარე ოთახები; შესაბამისად გაზრდილი გუმბათის ყელის დიამეტრი; აგრეთვე, ბემა ყოველი აფსიდის წინ; სამი სარკმელის გაჭრა აფსიდში; შიგნიდან მრგვალი საკურთხევლის გარე კედლის წახნაგოვნება - ყოველივე ეს პირველად მოსინჯულია ნინოწმინდაში, შემდგომ კი ეფექტურად გამოყენებულიდა განვითარებული მცხეთის ჯვრის ტაძარში.

არქიტექტურულად ნინოწმინდა ქმნის გარდამავალსაფეხურსმცხეთის ჯვრის ტიპის ფორმაზე.როგორც აღვნიშნეთ, ისმცხეთის ჯვარს უსწრებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაც. მეცნიერები (გ.ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე და სხვ.) მას გარკვეული მახასიათებლების მიხედვით მცხეთის ჯვრის მცირე ტაძრის თანადროულად მიიჩნევენ. ასეთი დამახასიათებელი ნაწილებია:ნახევარწრიულ აფსიდური შვერილები, რომელიც ცნობილი იყო საქართველოში წინა პერიოდში VI საუკუნის პირველ ნახევრამდე (ამის მაგალითებია ბოლნისის სიონი და ბოლნის-ქაფანაქჩი, აგრეთვე ძველი გავაზი და თბილისის ძველი ქაშუეთი);

იდენტურია ნინოწმინდისა და მცხეთის მცირე ტაძრის მასალაც; დაბოლოს, კათედრალის დასავლეთიკარიბჭე, რომელიც სტრუქტურულად ძალიან წააგავს მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარს. ამრიგად, ყველა ამ თავისებურებათა გათვალისწინებით ქართველი ხელოვნებათმცოდნეებინინოწმინდის ტაძარს VII ს.-ის მესამე მეოთხედით ათარიღებენ.

ამრიგად, სასემინარო თემად წარმოდგენილი ნინოწმინდის კათედრალის განხილვამგვიჩვენა, რომისი ძირითადი არქიტექტურული სტრუქტურა, დაფუძნებულია ტეტრაკონქულ კონცეფციაზე და მიუხედავად იმისა, რომ იგი მკვლევართა სამართლიანი აღიარებით, არც ტექნიკურად და არც მხატვრულად არ არის ბოლომდე კარგად გააზრებული, თავისი სირთულით მკაფიოდ გამოირჩევა ამ ტიპის სხვა, ზოგჯერ ბევრად უფრო სრულყოფილი და ცნობილი ძეგლებისგან. ნინოწმინდის ტაძარში მაქსიმალურად არის გამოვლენილი ამ ტიპის ნაგებობათა უკლებლივ ყველა ნიშანთვისება, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შედეგრი - მცხეთის წმინდა ჯვრის ტაძარი. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი არჩევანი - დეტალურად შეგვესწავლა ნინოწმინდის ტაძარი, რისთვისაც ყურადღებით გავვცანით მასზე არსებულ სამეცნიერო კვლევებს, რამდენჯერმე მოვინახულეთ თვითონ ტაძარი და ვცადეთ, თქვენს წინაშე წარმოგვეჩინა მისი მრავალსაუკუნოვანი თავგადასავალი, მხატვრულ-ხუროთმოძღვრული ღირსება-ნაკლოვანებები და ძეგლის დღევანდელი მდგომარეობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩუბინაშვილი გ. ქართული ხელოვნების ისტორიიდან. *გამომცემლობა „მეცნიერება საქართველოში“*. თბილისი, 1926.
2. ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. *გამომცემლობა „ხელოვნება“ საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება*. თბილისი, 1974.
3. Амиранашвили Ш. История грузинского искусства. *Изд. Искусство*. Москва, 1963.
4. ხომტარია დ. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები. *გამომცემლობა „არტანუჯი“*. თბილისი, 2005.
5. თუმანიშვილი დ., ნაცვლიშვილი ნ., ხომტარია დ. „მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში“. *გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის*

ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი. თბილისი, 2012.

6. გივიაშვილი ი., კოპლატაძე ი.. „ტაო-კლარჯეთი“. თბილისი, 2004.
7. ხიმშიაშვილი კ. „ახლად აღმოჩენილი ტეტრაკონქი სანაგირეს სამონასტრო კომპლექსში“, *ჟურნალი ძველი ხელოვნება დღეს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. თბ., 02/2011.*
8. ჩაჩუა თ. „მცხეთის ჯვარი“. *პოლიგრაფინვესტი. თბილისი. 2000.*
9. Чубинашвили Г.Н. Архитектура Кахетии. *Издательство академий наук Грузинской ССР. Еишдшыш. 1959.*
10. Беридзе В. Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры. *Изд. Мецниереба. Тбилиси, 1981.*
11. Чубинашвили Г.Н. Памятники типа Джвари. *Издательство академий наук Грузинской ССР. Тбилиси, 1948.*